



7841/1-6/21 2 23072021



7841/1-6/21
23-07-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს ბატონ გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილებით, დამტკიცდა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი შესრულების მიზნით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის იღებს გადაწყვეტილებას ფულადი დახმარების დანიშვნა/არდანიშვნის შესახებ და გასცემს ფულად დახმარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

2014 წლის 1 ივნისიდან დღემდე, რამდენ ბენეფიციარს დაენიშნა და რამდენზე გაიცა, პროგრამის ფარგლებით გათვალისწინებული, ფულადი დახმარება? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ რეგიონების მიხედვით, მაღალმთიანი რეგიონების მითითებით.

ასევე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, ფულადი დახმარების დანიშვნის მომდევნო წლებში, რომელ რეგიონებში დაფიქსირდა, ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი.

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო



Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

ს/კ 202178927



KA030411953522621

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/8348

09 / აგვისტო / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა თქვენი წერილი (დოკ. N 7841/1-6/21, 23.07.2021 წ.), „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილების შესაბამისად, მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

თქვენ მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, თანდართული ელექტრონული ფაილების სახით, წარმოგიდგინებ საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციას, 2014-2021 წლებში „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით“ მოსარგებლე, უნიკალურ ბენეფიციართა (უარყოფითი ბუნებრივი მატების საშუალო წლიური მაჩვენებლის მქონე რეგიონებში, ოჯახებში რიგით შესამე და შემდეგი ბავშვის დაბადების შემთხვევაში, ასევე, ძალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მშობლ(ებ)ის შვილებისათვის, პროგრამით განსაზღვრული ფულადი დახმარებების მიმღები ბავშვები) სტატისტიკას, ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემის მაჩვენებლების მიხედვით, მუნიციპალიტეტი/რეგიონის წრილში.

დამატებით გაცნობებთ, რომ მთავრობის გემოლინიშნული N262 დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, პროგრამის ადმინისტრირების მიზნით, დავალებული აქვს რეგიონულ და მუნიციპალურ წრილში, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიური მაჩვენებლების სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ყოველწლიურად მონოღება. დანართის სახით წარმოგიდგინებთ საქსტატიდან მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტაციასაც.

დანართი: 7 ფაილი

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



ლევან გოგოძე